საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გია ბერაიას* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

გია ბერაია

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - გია ბერაიას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით შეფასებისას** სხვა გარემოებებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნას კანდიდატის შესახებ რესპოდენტთა კითხვარები, სადაც რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კანდიდატის თვისებებიდან გამოყოფენ ისეთ თვისებებს როგორიცაა შრომისმოყვარეობა დამოუკიდებლობა, თავდაჯერებულობა, პრინციპულობა, საქმისადმი ერთგულება, სიმართლის მოყვარეობა, კორექტულობა და გამჭვირვალობა. **დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით** შეფასებისას გათვალისწინებული იქნა კანდიდატის ისეთი თვისებები, როგორიცაა კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ცალკეულ ზეგავლენათა მიმართ მედეგობა, შეუვალობა, კანდიდატის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის მიხედვით, გია ბერაია არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი და შემომწირველი.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი და ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. მოსამართლე ზედმიწევნით იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, აქვს მეგობრული დამოკიდებულება მასთან მომუშავე აპარატის თანამშრომლებთან. რაც შეეხება მის ქცევას მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის, როგორც მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა და მის შესახებ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი ინფორმაციის თანახმად კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი სასამართლო პროცესში არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის კუთხით** შეფასებისას აღსანიშნავია, რომ მოსამართლე კოლეგებში და ასევე იურიდიულ წრეებში სარგებლობს გაწონასწორებული პიროვნებისა და მაღალკვალიფიციური იურისტის სახელით. **ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით** შემოწმებისას შეფასებული და გათვალისწინებული იქნა კანდიდატის შესახებ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის სახით დასკვნაში არსებული ინფორმაცია კანდიდატის შემოსავლის წყაროს, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების, ვალისა და ვალდებულების შესახებ არსებული ინფორმაცია და უნდა აღინიშნოს, რომ გია ბერაიას ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით. აქვს საკუთრებაში უძრავი ქონება და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ყოველივე ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, კანდიდატი - გია ბერაია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	**სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ გია ბერაიას აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის სათანადო დონე, ამ მახასიათებლით შემოწმებისას გათვალისწინებული იქნა როგორც გასაუბრების, ისე მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების შესწავლისას, ასევე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები. გია ბერაიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. გასაუბრებისას გია ბერაიამ შეკითხვებს ძირითადად უპასუხა სწორად და თანმიმდევრულად, თუმცა იყო ხარვეზები საერთაშორისო და კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის** შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მის მიერ განხილულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, შესწავლილ გადაწყვეტილებაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს ადექვატური სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული. ეფუძნება სამართლის არსებითად სწორ აღქმას. მოსამართლის პოზიცია ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად და გამართულადაა ჩამოყალიბებული.
წერის უნარი	17	20	**წერის უნარის კუთხით** მოსამართლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებები

			როგორიცაა მის მიერ პოზიციისა და აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის უნარი, მის მიერ წარმოდგენილ განჩინებაში წერილობით განვითარებული მსჯელობა ლოგიკურად სწორადაა წარმართული. თუმცა, მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში იყო ხარვეზები წინადადებათა წყობის კუთხით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	**ზეპირი კომუნიკაციის უნარით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი საუბრობს გარკვევით და სამართლის ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადეკვატურად. მას გააჩნია აზრის მოთმინებით და ყურადღებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	**პროფესიული თვისებებით კუთხით, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე სასამართლო პროცესს წარმართავს თავდაჯერებულად და მშვიდად, სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. მხარეებს აძლევს მათი მოსაზრებების გამოთქმის თანაბარ შესაძლებლობებს. რაც შეეხება მის მიერ საპროცესო ვადების დაცვას, მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის თანახმად: საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით 99,8%, ვადის დარღვევით 0,2%. - გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 98.9%, ვადის დარღვევით 1,1%. - გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი 71,4%; შეცვლილი 28,6%. - საანგარიშო პერიოდში (1042 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 1546 საქმე, დღეში საშუალოდ 1.5 საქმემდე.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს მისი ღიაობა სიახლეების

			მიმართ, ასევე აღსანიშნავია, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად იგი 2010-2011 წლებში კითხულობდა ლექციას ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. კანდიდატი ადრინდელ პერიოდში უთმობდა დროს პროფესიულ თვითგანვითარებას (ჩამონათვალი იხილეთ კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში). კანდიდატი ბოლო პერიოდში პროფესიული წვრთნის პროგრამებში პრაქტიკულად არ მონაწილეობს.
პროფესიული აქტივობა	3	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას აღსანიშნავია, რომ აქვს მიღებული მონაწილეობა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებებში და სემინარებში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ასევე არ აქტიურობს პედაგოგიური/სამეცნიერო საქმიანობის კუთხით.
ქულათა ჯამი	**91**	**100**	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21